ოქმი N 2

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 2018 წლის 27 მარტი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. დოდო გაბუნია
2. ირაკლი ნადარაია
3. თენგიზ აბაკელია
4. მზია ლემონჯარია
5. აბელ ქირია
6. კახა მიქაბერიძე
7. ავთანდილ ხუნჯუა
8. კონსტანტინე ნასარაია
9. ია ჯიშკარიანი

სხდომას თავმჯდომარეობდა დ. გაბუნია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის ვ. გაბედავას 2018 წლის 13 მარტის N09/1166 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N82 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებელი: დ. გაბუნია - განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის ვ. გაბედავას 2018 წლის 13 მარტის N09/1166 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N82 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: დ. გაბუნია - განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: დ. გაბუნია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N82 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" და განაცხადა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის თანახმად, „უმწეოთა სასადილოს ბენეფიციარების ერთჯერადი კვებისა და მომსახურების დახმარების" მუხლი განისაზღვრა 80000 ლარის ოდენობით, რომელიც ტენდერის შედეგით შემცირდა 15000 ლარით და უმწეოთა სასადილოს ბენეფიციარების ერთჯერადი კვება და მომსახურების თანხა განისაზღვრა 65000 ლარის ოდენობით. გამომსვლელი შემოვიდა წინადადებით, საკითხი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას საკითხის ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე დ. გაბუნია